დანართი 2
დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის ____ თებერვლის
N_____ ბრძანებით

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) გამოყენების წესები და პირობები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს მომხმარებლის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (შემდგომში - პლატფორმა) (idea.batumi.ge) გამოყენების, პროექტის წარდგენის წესსა და პირობებს.

2. სისტემის გამოყენების უფლების მისაღებად, მომხმარებელი ვალდებულია დაეთანხმოს პლატფორმის გამოყენების, პროექტის წარდგენის წესისა და პირობების შესახებ შეთანხმებას და უზრუნველყოს მისი დაცვა.

3. წესების და პირობების გაცნობის შემდგომ მომხმარებელი თანხმობის ნიშნად აწკაპებს ღილაკს „გავეცანი და ვეთანხმები“.

4. სისტემაში არჩეული „მომხმარებლის სახელი“ და „პაროლი“ არ ექვემდებარება მესამე პირებისათვის გადაცემას, ამასთან მომხმარებელი სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ რეგისტრაციისას დაფიქსირებული „მომხმარებლის სახელის“ და „პაროლის“ გამოყენებაზე, ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა მისი მომხმარებლის სახელითა და პაროლით და კონფიდენციალობის დაცვაზე.

5. მომხმარებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს ან განაახლოს თავისი პროფილი.

6. მომხმარებელი თანახმაა რეგისტრაციის დროს მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით მიიღოს პლატფორმასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

7. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას მომხმარებლის მიერ პაროლის დაკარგვის ან მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში დამდგარ შედეგებზე.

8. მომხმარებლის მიერ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, ხელმისაწვდომი იქნება, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა ან/და ტერიტორიული ორგანოს ან/და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის საამისოდ უფლებამოსილი თანამშრომლებისათვის.

9. წინამდებარე პირობებზე დათანხმება წარმოადგენს პროექტის წარმდგენის ნების დასტურს, პროექტის დამუშავების (კერძოდ, პირადი მონაცემების და სხვა ინფორმაციის გადამოწმების) მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით შესაბამისი ინფორმაციის მიღებაზე.

10. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი არ გასცემს პირად ინფორმაციას მესამე პირებზე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11. პროექტი წარდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.

12. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი პასუხს არ აგებს იმ უზუსტობებისათვის, რაც გამოწვეულია მომხმარებლის მიერ ელექტრონული განაცხადის შევსებისას დაშვებული შეცდომით და უზუსტობით.

13. მომხმარებელი ვალდებულებას იღებს:

ა) დაუყოვნებლივ აცნობოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს მომხმარებლის პაროლისა და ანგარიშის ნებისმიერი არასანქცირებული გამოყენების და უსაფრთხოების ნორმების ნებისმიერი სხვა სახის დარღვევის შესახებ;

ბ) უზრუნველყოს სისტემიდან გამოსვლა ყოველი წვდომის შემდეგ.

14. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი პასუხს არ აგებს იმ არასასურველი შედეგებისათვის, რაც შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის მიერ სისტემაში საკონტაქტო მონაცემების შეცვლის არ ასახვამ.

15. მომხმარებლის მიერ, პლატფორმის განზრახ დაზიანების, საიტის ნორმალური ფუნქციონირების შეზღუდვის ან შეზღუდვის მცდელობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს პლატფორმის (idea.batumi.ge) უსაფრთხოებას, ინფორმაციის დაკარგვის, არასწორი გამოყენების და შეცვლისგან მისი დაცვის ვალდებულებას.

17. მომხმარებელი აღიარებს რა ინტერნეტის გლობალურ ხასიათს და მომხმარებელი ვალდებულებას იღებს, დაიცვას საქართველოდან ან საქართველოში ან მომხმარებლის ადგილსამყოფელი ქვეყნიდან ან ქვეყანაში ტექნიკური ინფორმაციის გადაცემა-მიღებასთან დაკავშირებული ყველა ნორმა.

18. პლატფორმის გამოყენების პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. მხარეები ცალსახად აღიარებენ, რომ პირობების გამო ან მათთან დაკავშირებით წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

19. სისტემაში არსებულ ყველა ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე დაცულია საავტორო უფლებები.